



# ონის მუნიციპალიტეტის მერია

## ონის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება

ქ. ონი



N 190  
03/02/2020

190-02-4-202002031501



### კვაშიეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის 2020 წლის 10 იანვრის N115 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავის (ადმინისტრაციული წარმოების ზოგადი დებულებანი. მარტივი ადმინისტრაციული წარმოება) და კვაშიეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის 2020 წლის 10 იანვრის N115 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ვბრძანებ:

1. დაიწოს ადმინისტრაციული წარმოება სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უძრავი ნივთის ადგილზე დათვალიერების N02661 ოქმით და ონის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 21 თებერვლის N332 ბრძანებით დადასტურებული მიწის ნაკვეთის იდენტობასთან დაკავშირებით.
2. გადაწყვეტილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან მასზე უარის თქმის შესახებ მიღებულ იქნას 2020 წლის 29 თებერვლამდე.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ემზარ საბანაძე

მუნიციპალიტეტის მერი

